



შენაბავისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პამბიკიპე“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

„ 17 “ 12 ----- “ 2018 წელი

N 71/36 -----

ეგზ: N:1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016
წლების „გარე განათების ქსელის
ექსპლუატაციის და რეაბილიტაციის
პროგრამის“ (პროგრამის კოდი 02 05)
ფარგლებში გაწეული ხარჯების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
რეკომენდაცია	4
შესავალი	5
ძირითადი ტექსტი	9
1. ფინანსური აქტივების ზრდა.....	9
1.1 სპეციალიზირებული ტექნიკის შესყიდვა	9
1.2 გარე განათების კონსტრუქციების გადაუდებელი სამღებრო სამუშაოები	17
1.3 ქ. თბილისის ტელეანძლის მხატვრული მინათების სისტემის რეაბილიტაცია .	19
1.4 შპს „სინათლის ქალაქში“ დასაქმებულთა პრემირება.....	21
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	21
2.1 საქონელი და მომსახურება.....	21
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური.....	25
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული გარე განათების პროგრამის აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა	25
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	26
აუდიტორთა ხელმოწერა.....	26

ტერმინთა განმარტებები

პროგრამა - „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამა“;

მუნიციპალიტეტი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი;

მუნიციპალიტეტის მთავრობა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა;

მერია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;

სამსახური - მერიის სტრუქტურული ერთეული - კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;

საწარმო - მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმო - შპს „სინათლის ქალაქი“;

მომსახურება - გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 02 05) ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს - შპს „სინათლის ქალაქის“ სპეციალიზირებული ტექნიკის ახლით ჩანაცვლების შესყიდვის პროცესზე და არ გაითვალისწინა ამ მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების პირობები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა გარე განათების კონსტრუქციების სამღებრო სამუშაოები ფაქტობრივად შეასრულა შესყიდვების კანონმდებლობის გამოყენების გარეშე, უკონკურენტო გარემოში და მისი ღირებულება ფაქტობრივად ორჯერ გადაიხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გარე განათების სისტემების ექსპლოატაციის მიზნით შპს „სინათლის ქალაქთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები ფორმალური ხასიათისაა. მომსახურების მიწოდების პროცესი ფორმით სახელმწიფო შესყიდვის მსგავსია, თუმცა შინაარსობრივად სუბსიდიურ ხასიათს ატარებს. სახელშეკრულებო ურთიერთობის შერეული ფორმა ქმნის მოუწესრიგებელ სიტუაციას და გაურკვევლობას იწვევს მიწოდების რეალური ღირებულების განსაზღვრის, მომსახურების მიწოდების ვადების დაცვის, შესრულების კონტროლისა და საჯარიმო სანქციების გავრცელების მხრივ.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაცია.

რეკომენდაცია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს და შეაფასოს გარე განათების სისტემების ექსპლოატაციის დაფინანსების სხვადასხვა ფორმა (მომსახურების შესყიდვა, სუბსიდირება, მართვაში გადაცემა და სხვ) და განსაზღვროს ოპტიმალური მიდგომა მომსახურების მისაღებად. მიზანშეწონილია შერჩეული ფორმა დაფუძნებული იყოს საუკეთესო პრაქტიკაზე და საკანონმდებლო მოთხოვნებთან ერთად, მაქსიმალურად ითვალისწინებდეს ქ. თბილისის სპეციფიკას. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის მონაწილე მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და პროცესის გამჭვირვალობას.

შესავალი

აუდიტის საგანი და სახეობა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 02 05) ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი, კრიტერიუმი და მასშტაბი

აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

-)/ მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
-)/ საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
-)/ შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
-)/ ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმებთან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი იგეგმება და ტარდება პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 02 05) ფარგლებში გაწეული საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“ საკასო შესრულება - ჯამში 45,545.6 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტის სტანდარტები

აუდიტორული პროცედურები ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორული პროცედურები ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას, აუდიტის საგნის შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

გამოყენებული კრიტერიუმები

- საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

„გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამას“ 2015-2016 წლებში ახორციელებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, სტრუქტურული ერთეულის - კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის¹ მეშვეობით. სამსახურის ძირითადი მოვალეობაა უზრუნველყოს არსებული გარე და მხატვრული განათების გამართული ექსპლოატაცია და ხელი შეუწყოს ქსელის შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას.

ბიუჯეტის მიმოხილვა. „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამა“ დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტების ფარგლებში. პროგრამის მიზანია ქალაქში განათებული ქუჩების და მხატვრულად მინათებული შენობა-ნაგებობების რაოდენობისა და განათების ინტენსივობის გაზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ქ. თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალის, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტლების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას.

პროგრამის შესრულების მიზნით, მუნიციპალიტეტი 2015-2016 წლებში შეისყიდდა გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურებას და გარე განათების ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოებს. ასევე, ზრდიდა შპს „სინათლის ქალაქის“ კაპიტალს, სპეცტექნიკის შესაძენად. პროგრამა 2015-2016 წლებში დაიგეგმა 45,645.6 ათასი ლარის მოცულობით. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, საკასო შესრულებამ 45,545.6 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი 1. „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“
გადასახდელები, 2015-2016 წწ. (ათასი ლარი)


დასახელება	2015 წელი	2016 წელი	ჯამი
გადასახდელები	23,008	22,538	45,546
ხარჯები	18,174	17,876	36,050
საქონელი და მომსახურება	17,863	17,787	35,650
სხვა ხარჯები	311	89	400
არაფინანსური აქტივების ზრდა	0	837	837
ფინანსური აქტივების ზრდა	4,704	3,825	8,529
ვალდებულებების კლება	130	0	130

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“ ასიგნებები გაწერილია მუხლობრივად. პროგრამის

¹ ამჟამად ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური.


„ხარჯების“ მუხლი შედგება „საქონელი და მომსახურების“ (98.9%) და „სხვა ხარჯების“ (1.1%) მუხლებისაგან. „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის სტრუქტურა ნაჩვენებია დიაგრამით²:

დიაგრამა 1. „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის სტრუქტურა. 2015-2016 წწ.



2016 წელს „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან 836.7 ათასი ლარი ძირითადად დახარჯულია გარე განათების ახალი ქსელის განვითარების სამუშაოებზე. „ვალდებულებების კლების“ მუხლით დაფინანსებულია კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოიშვა წინა წელს მიწოდებული საქონლისა და სამუშაოების საფუძველზე. „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან დაფინანსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს - შპს „სინათლის ქალაქის“ კაპიტალის ზრდა. კაპიტალის ზრდისათვის ასიგნებები გამოყოფილია მიზნობრივად, მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებების შესაბამისად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 2 მარტის №09.09.191 და 2016 წლის 4 მაისის №17.06.401 განკარგულებების შესაბამისად, დაიწყო და განხორციელდა შპს „სინათლის ქალაქის“ რეორგანიზაცია და მისი შერწყმა შპს „თბილსერვის ჯგუფთან“.

დიაგრამა 2. კაპიტალის ზრდის მიზნით გაწეული ხარჯები. 2015-2016 წწ.



² 731 ათასი ლარიდან 703 ათასი ლარი – გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაო უნდა დაფინანსებულიყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით, ნაცვლად „საქონლისა და მომსახურების“ მუხლისა.

ძირითადი ტექსტი

1. ფინანსური აქტივების ზრდა

1.1 სპეციალიზირებული ტექნიკის შესყიდვა

საავანსო ანგარიშსწორება

კრიტერიუმი 1: თბილისის მთავრობა, თბილისის საკრებულოს თანხმობით, აფუძნებს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და ამტკიცებს მათ წესდებებს (დებულებებს); ნიშნავს და ათავისუფლებს კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას³.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები, მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში⁴. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა⁵.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში შპს „სინათლის ქალაქი“ ახორციელებდა მუნიციპალიტეტის გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციას სპეციალური დანიშნულების ტექნიკის (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) გამოყენებით. საწარმომ გადაწყვიტა ახალი ტექნიკის შეძენა და 2015 წლის 20 ოქტომბერს წერილით⁶ მიმართა სსიპ „თბილისის ქონების მართვის სააგენტოს“. წერილში აღნიშნულია, რომ საწარმომ ჩაატარა ბაზრის კვლევა და მის საფუძველზე შესასყიდი ტექნიკის ღირებულებამ შეადგინა 5,800.0 ათასი ლარი. კვლევის პირობებში ჩადებული იყო მრავალწლიანი შესყიდვა, არსებული ტექნიკის ჩანაცვლების გზით.

იმავე დღეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გამოსცა განკარგულება⁷ და 2015-2016 წლების „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის ღონისძიებების პროგრამის“ ბიუჯეტი გაზარდა 5,800.0 ათასი ლარით. თანხა განისაზღვრა მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის, შპს „სინათლის ქალაქის“ კაპიტალის ზრდისათვის, კომპანიის საკუთრებაში რიცხული

³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 75.

⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“: მუხლი 7, პუნქტი 2(ა).

⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“: მუხლი 21, პუნქტი 5.

⁶ №3-02/758.

⁷ განკარგულება № 42.02.1206.

მეორადი სპეციალიზირებული ტექნიკის ახლით ჩანაცვლების პროექტის დასაფინანსებლად. კერძოდ, 2015 წელს გათვალისწინებული იყო 500.0 ათასი ლარის, ხოლო 2016 წელს - 5,300.0 ათასი ლარის გამოყოფა. მთავრობის 2015 წლის 11 ნოემბრის განკარგულებით⁸, შპს „სინათლის ქალაქის“ კაპიტალი გაიზარდა 500.0 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა საწარმოს ანგარიშზე ჩაირიცხა 27 ნოემბერს.

შპს „სინათლის ქალაქმა“ ელექტრონული ტენდერი⁹ სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე (24 ერთეული), მეორადი ტექნიკის ჩანაცვლების გზით, გამოაცხადა 2015 წლის 13 ნოემბერს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 5,800.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო შპს „ჯი-თი გრუპმა“ და ვაჭრობის შედეგად დააფიქსირა 5,765.0 ათასი ლარის შემოთავაზება. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ მოძიებული ინფორმაციით, 2015 წლის 3 ივლისს ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კომპანიამ - შპს „ჯი-თი გრუპმა“, რომელმაც წარმოადგინა შემოთავაზება 2,748.0 ათასი ევროს ღირებულებით, რაც იმ დროისთვის წარმოადგენდა 6,866.4 ათას ლარს¹⁰.

სატენდერო დოკუმენტაცია, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ითვალისწინებდა ხელშეკრულების ფასის უცხოურ ვალუტაში განსაზღვრის შესაძლებლობას. შპს „ჯი-თი გრუპთან“ 22 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება¹¹ 2,276.1 ათასი ევროს ღირებულებით (5,765.0 ათასი ლარის ექვივალენტი, ვაჭრობის დღეს დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსით). ხელშეკრულების პირობების მიხედვით, 2015 წელს გათვალისწინებული იყო ავანსის გაცემა 500.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წელს ანგარიშსწორება განხორციელდებოდა ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის პროპორციული ღირებულების შესაბამისად და ავტომატურად განაცვლებით, რომელთა ღირებულება შეადგენდა 256.9 ათას ლარს.

ხელშეკრულების გაფორმებამდე, 2015 წლის 11 დეკემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გამოსცა განკარგულება¹² მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ, რომლის მიხედვით „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის ღონისძიებების პროგრამის“ ბიუჯეტი გაიზარდა 1,600.0 ათასი ლარით. აღნიშნულის საფუძველზე, 23 დეკემბერს

⁸ განკარგულება № 45.27.1300.

⁹ SPA150030357.

¹⁰ აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება ტენდერის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის შესახებ.

¹¹ №კ-320.

¹² განკარგულება № 50.02.1413. 11.12.2015.

მთავრობამ გამოსცა ახალი განკარგულება¹³. სამართლებრივი აქტით ცვლილება შევიდა 20 ოქტომბრის განკარგულებაში და 2015 წლის პროგრამის ბიუჯეტში, შპს „სინათლის ქალაქის“ კაპიტალის ზრდისათვის, 500.0 ათასი ლარის ნაცვლად, გათვალისწინებული იქნა 2,100.0 ათასი ლარი. სხვაობა, 1,600.0 ათასი ლარი შპს „სინათლის ქალაქს“ სრულად გადაერიცხა 2015 წლის 30 დეკემბერს¹⁴.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 23 დეკემბერს, სამართლებრივი აქტის გამოცემის მომენტში, ქ. თბილისის მთავრობისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო შპს „სინათლის ქალაქის“ მიერ ჩატარებული ტენდერის შედეგები. კერძოდ, ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდა 22 დეკემბერს; ტენდერის სავარაუდო ღირებულება - 5,800.0 ათასი ლარი შემცირდა 35.0 ათასი ლარით და შეადგინა 5,765.0 ათასი ლარის ექვივალენტი ევროში; ამასთანავე, გაფორმებული ხელშეკრულების ფასში შევიდა ჩასანაცვლებელი მეორადი ტექნიკის ღირებულება 256.9 ათასი ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის მოცულობა - 5,800.0 ათასი ლარი თბილისის მთავრობის განკარგულებებით დარჩა უცვლელი.

საწარმომ შპს „ჯი-თი გრუპთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში 2015 წლის 28 დეკემბერს შეიტანა ცვლილებები¹⁵ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი დაფინანსება სრულად გამოიყენა საავანსო თანხის გასაზრდელად. კერძოდ, მიმწოდებელს ავანსის სახით 2015 წლის 30 დეკემბერს გადაერიცხა 2,100.0 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ავანსის გაზრდა გამოიწვია სავალუტო კურსის აქტიურმა ცვლილებებმა, რომლის დროსაც კომპანიას დაუდგა საფრთხე, რომ შესაძლოა კაპიტალის ზრდისთვის გამოყოფილი თანხები აღარ ყოფილიყო სავალუტო სახელშეკრულებო ვალდებულებების დასაფარად.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა ხელშეკრულების დადებიდან პირველ ცვლილებამდე პერიოდში, ასევე ხელშეკრულების ცვლილებების შინაარსობრივი მხარე და თვლის, რომ წარმოდგენილი არგუმენტები საავანსო თანხის გაზრდით ორგანიზაციის ფინანსური რისკის შემცირების შესახებ არაობიექტურია და არ შეესაბამება რეალობას, კერძოდ:

)/ 2015 წლის 22 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე პერიოდში ლარის კურსი ხასიათდებოდა როგორც ზრდის, ასევე კლების ტენდენციით და ევროსთან მიმართებაში 2.6055-დან 2.6365-მდე გაიზარდა, რაც არ წარმოადგენს კურსის მნიშვნელოვან რყევას.


¹³ განკარგულება № 51.19.1461. 23.12.2015.

¹⁴ 2015 წელს ჩარიცხულმა თანხამ ჯამში 2 100.0 ათასი ლარი შეადგინა.

¹⁵ შეთანხმება №1. 28.12.2015.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წინასაახალწლო პერიოდში ეროვნული ვალუტა ზოგადად ყოველთვის ხასიათდება გაუფასურების ტენდენციით, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის გაზრდის გამო. ამდენად, საავანსო თანხის გაზრდის აუცილებლობა, ეროვნული ვალუტის მოსალოდნელ გაუფასურებასთან მიმართებაში, ვერ დგინდება.

დიაგრამა 3. ლარის კურსი ევროსთან მიმართებაში



ხელშეკრულების პირობებით, ახალი ტექნიკის ფასი განსაზღვრული იყო ევროში. ამასთან, ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ეროვნულ ვალუტაში, ეტაპობრივად, მიწოდებული ტექნიკის ღირებულების შესაბამისად, ტექნიკის მიწოდების მომენტში დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. შესაბამისად, გადასახდელი თანხის საერთო მოცულობა განისაზღვრებოდა ლარის კურსით, მიღება-ჩაბარების აქტების შედგენის თარიღისთვის. ახალი ტექნიკის მიწოდებაზე შედგენილია სულ 9 მიღება-ჩაბარების აქტი და ყველა შემთხვევაში ტექნიკის ღირებულება ევროდან ლარში გადაყვანილია მიღება-ჩაბარების დღის ოფიციალური კურსით. სულ მიწოდებული ტექნიკის ღირებულებამ შეადგინა 5,822.0 ათასი ლარი. შესაბამისად, გადასახდელი თანხის მოცულობა (ლარებში) დამოკიდებული იყო ორ ფაქტორზე:

- ტექნიკის მიწოდების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი;
- ლარის კურსი ევროსთან მიმართებაში, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებისას.

გამომდინარე აქედან, გადასახდელი თანხის რაოდენობაზე სხვა ფაქტორები გავლენას არ ახდენდა და გადასახდელი თანხის მოცულობა (ლარებში) გადახდილი ავანსის ოდენობაზე დამოკიდებული არ ყოფილა. ამდენად, ორგანიზაციის ფინანსური რისკი არ შემცირებულა და ავანსის გაზრდამ ვერ უზრუნველყო შემსყიდველის პირობების გაუმჯობესება.

2016 წლის 12 თებერვალს შპს „სინათლის ქალაქმა“ მიმწოდებელს ავანსის სახით დამატებით ჩაურიცხა 3,700.0 ათასი ლარი, რითაც საავანსო თანხამ ჯამში 5,800.0 ათასი ლარი შეადგინა. ხელშეკრულებაში შეტანილი აღნიშნული ცვლილებებით, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის პირობები გაუარესდა, რაც სახელმწიფო შესყიდვების

კანონმდებლობით დაუშვებელია. საპირისპიროდ, გაუმჯობესდა მიმწოდებლის პირობები, რომელმაც წინასწარ მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი ანაზღაურება. კერძოდ, საავანსო თანხის მოცულობა 500.0 ათასი ლარიდან (ხელშეკრულების ღირებულების 8.6%) 5,800.0 ათას ლარამდე (100%-ზე მეტი) გაიზარდა. აუდიტის ჯგუფი დასაშვებად მიიჩნევს მოსაზრებას, რომ წინასწარი ანგარიშსწორების ასეთი პირობებით, შესყიდვის პროცესში მონაწილეობას მიიღებდნენ სხვა პრეტენდენტებიც, რაც ხელს შეუწყობდა ჯანსაღ კონკურენციას და შესაძლო სატენდერო ეკონომიის გაზრდას.

ხელშეკრულების შესრულებისას გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებიდან ირკვევა, რომ შპს „ჯი-თი გრუპმა“ შპს „სინათლის ქალაქს“ მიაწოდა 5,822.0 ათასი ლარის ღირებულების ტექნიკა. შპს „სინათლის ქალაქმა“ მიმწოდებელს ავანსად გადაურიცხა 5,800.0 ათასი ლარი და ასევე გადასცა 256.9 ათასი ლარის ჩასანაცვლებელი ტექნიკა, რაც ჯამში 6,056.9 ათას ლარს შეადგენს. გამომდინარე აქედან, შპს „სინათლის ქალაქის“ მიერ ზედმეტად ანაზღაურებულია 234.9 ათასი ლარი. შესაბამისად, შპს „სინათლის ქალაქი“/შპს „თბილსერვის ჯგუფი“ ვერ იყენებს ფულად რესურსს ან საპროცენტო სარგებლის მიღების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, საბანკო ხელშეკრულებების შესაბამისად, შპს „სინათლის ქალაქს“ ანგარიშზე არსებულ ნაშთებზე ყოველდღიურად ერიცხებოდა სარგებელი წლიური 9,3%-ის, ხოლო შპს „თბილსერვის ჯგუფს“ – 16%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუკი საწარმო 5,300.0 ათასი ლარით არ გაზრდიდა საავანსო თანხის მოცულობას და ანგარიშსწორებას მოახდენდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კაპიტალის ზრდისათვის მიღებული დაფინანსებიდან, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ანგარიშზე არსებული თანხების საპროცენტო სარგებლის სახით მიიღებდა 140 ათას ლარზე მეტ შემოსავალს.

ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს - შპს „სინათლის ქალაქის“ სპეციალიზირებული ტექნიკის ახლით ჩანაცვლების შესყიდვის პროცესზე და არ გაითვალისწინა ამ მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების პირობები. მუნიციპალიტეტმა პროექტისათვის განსაზღვრული თანხა არ შეამცირა ჩასანაცვლებელი მეორადი ტექნიკის ღირებულებით (256.9 ათასი ლარი) და საწარმოს კაპიტალის ზრდის მუხლით გამოუყო ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი საბიუჯეტო რესურსი, რითაც შპს „სინათლის ქალაქს“ შესაძლებლობა მიეცა არასათანადოდ განეკარგა მიღებული დაფინანსება. კერძოდ, შპს „სინათლის ქალაქმა“ მიმწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურა 234.9 ათასი ლარი, რითაც საწარმოს მიაღდა მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო დოკუმენტები

კრიტერიუმი 2: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200,000 ლარს. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია¹⁶.

გამოვლენილი გარემოება: 2016 წლის მაისში შპს „სინათლის ქალაქი“ შეერწყა შპს „თბილსერვის ჯგუფს“ და ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე შემსყიდველ მხარედ განისაზღვრა შპს „თბილსერვის ჯგუფი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, შპს „ჯი-თი გრუპმა“ შპს „თბილსერვის ჯგუფს“ ბოლო სატრანსპორტო საშუალება მიაწოდა 2016 წლის 9 აგვისტოს, ხოლო მეორადი ტექნიკის ჩანაცვლება დასრულდა 17 აგვისტოს. 2016 წლის 19 აგვისტოსა და 31 აგვისტოს წერილებით, შპს „ჯი-თი გრუპმა“ მოითხოვა 60.2 ათასი ევროს ექვივალენტი ლარის ჩარიცხვა და გაცემული საბანკო გარანტიების დაბრუნება. აღნიშნული თანხა მიმწოდებელმა გაიანგარიშა ლარის კურსით ევროსთან მიმართებაში, საავანსო თანხების მიღების მომენტში. თუმცა, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, გადასახდელი თანხის საერთო მოცულობა განისაზღვრებოდა ლარის კურსით, მიღება-ჩაბარების აქტების შედგენის თარიღისთვის. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2016 წლის 15 სექტემბრის წერილის საფუძველზე, მხარეებს შორის გაიმართა შეხვედრა, რომელზედაც შეთანხმება ფულადი ვალდებულებების შესრულების დეტალებზე ვერ შედგა. გამომდინარე აქედან, 2016 წლის 3 ოქტომბერს შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ წერილობით¹⁷ მიმართა შპს „ჯი-თი გრუპს“ და მოითხოვა დავალიანების - 234.9 ათასი ლარის ჩარიცხვა, სამი სამუშაო დღის ვადაში.

შპს „ჯი-თი გრუპმა“ დადგენილ ვადაში თანხა შემსყიდველის ანგარიშზე არ დააბრუნა. 13 ოქტომბერს და განმეორებით 31 ოქტომბერს, შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ წერილობით მიმართა საბანკო გარანტიების გამცემს - სს „საქართველოს ბანკს“ და ხელშეკრულების შესრულებისა და საავანსო თანხების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების საფუძველზე მოითხოვა 234.9 ათასი ლარის ჩარიცხვა. სს „საქართველოს ბანკმა“, 21 ოქტომბრისა და 3 ნოემბრის წერილებით, უარი განაცხადა მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებაზე, შემდეგი მოტივით: საბანკო გარანტიების პირობას წარმოადგენდა ავტომატური მიწოდების ვალდებულების უზრუნველყოფა, ხოლო შპს „ჯი-თი გრუპმა“ აღნიშნული ვალდებულება შეასრულა სრულად და ჯეროვნად.

¹⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“: მუხლი 21, პუნქტი 3¹; მუხლი 21¹, პუნქტი 1.

¹⁷ წერილი №2/4573.

აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, გამარჯვებულ პრეტენდენტს ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოედგინა უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია. შპს „ჯი-თი გრუპმა“ შპს „სინათლის ქალაქს“ მიაწოდა სს „საქართველოს ბანკის“ მიერ გაცემული ისეთი საბანკო გარანტია, რომელიც არ იყო უპირობო და გამოუთხოვადი. რაც შეეხება საავანსო თანხების საბანკო გარანტიებს, სს „საქართველოს ბანკს“ მოთხოვნილი თანხის ანაზღაურების ვალდებულება აღებული აქვს ხელშეკრულების პირობების და არა საავანსო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე.

ამდენად, შპს „სინათლის ქალაქმა“ ხელშეკრულების შესრულებისა და საავანსო თანხების უზრუნველყოფისათვის ჩაიბარა ისეთი საგარანტიო დოკუმენტები, რომლებმაც შინაარსობრივად ვერ უზრუნველყვეს შემსყიდველი ორგანიზაციის ფინანსური რისკის დაზღვევა და კუთვნილი თანხების დაბრუნება.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მხარეებს შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდებოდა საქართველოს სასამართლოს მიერ. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 ნოემბერს სარჩელით პირველმა მიმართა შპს „ჯი-თი გრუპმა“ და შპს „თბილსერვის ჯგუფისაგან“ მოითხოვა 60.2 ათასი ევროს ანაზღაურება. 1-ელ დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ წარადგინა შესაგებელი, ხოლო 8 დეკემბერს შეგებებული სარჩელი, შპს „ჯი-თი გრუპისათვის“ 234.9 ათასი ლარის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლომ შპს „ჯი-თი გრუპს“ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სასარგებლოდ დააკისრა 234.9 ათასი ლარის გადახდა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ამჟამად დავა მიმდინარეობს მეორე ინსტანციის სასამართლოში.

სატენდერო დოკუმენტაციის ხარვეზები

კრიტერიუმი 3: კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები უნდა იყოს დასაბუთებული. დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობა მორგებულ იქნეს კონკრეტულ სასაქონლო ნიშანზე, პატენტზე, მოდელზე, წარმოშობის წყაროზე ან მწარმოებელზე, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით¹⁸. სპეციფიკაცია წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების აღწერას, თუ რისი შესყიდვის სურვილი გააჩნია და რა მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მიმწოდებლის მხრიდან წარდგენილი საქონელი თუ მომსახურება¹⁹.

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 11, პუნქტი 7 (მოქმედებდა 2017 წლის 14 ივნისამდე).

¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა, კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლა სპეციალური ტექნიკის შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დეტალებიც იმის გასარკვევად, მორგებული იყო თუ არა ეს მონაცემები კონკრეტულ პრეტენდენტზე. კერძოდ, ჯგუფმა საეჭვოდ მიიჩნია გარემოება, რომ სპეციალური ტექნიკის ძრავის კონკრეტულ მოცულობასა და სიმძლავრესთან ერთად მოთხოვნილია ცილინდრების განსაზღვრული რაოდენობა, საბურავების რიცხვი და ზომა, გადაცემათა კოლოფის სახეობა და გადაცემათა რიცხვი, სამუხრუჭე სისტემის ტიპი და განლაგება და სხვ. ყოველი სპეციფიკაცია უნდა ემყარებოდეს მყარ არგუმენტებს, ასახავდეს და შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებას და ემსახურებოდეს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას. სპეციალური ტექნიკის შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დეტალებში კომისიამ გადაჭარბებულად აღწერა და მოითხოვა ორგანიზაციისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალები, რამაც შესაძლებელია შეამცირა პოტენციურ მიმწოდებელთა რაოდენობა.

ტენდერის პირობების კონკრეტულ მიმწოდებელზე გათვლის რისკს აძლიერებს შემდეგი გარემოება: 2015 წლის 14 დეკემბერს, ელექტრონული ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესულია შპს Urban Motors-ის საჩივარი²⁰, სადაც აღნიშნულია, რომ სატენდერო დოკუმენტაცია მორგებული იყო მწარმოებელზე და ერთ მიმწოდებელზე. კერძოდ, ტექნიკური მოთხოვნების ზოგიერთი დეტალი შეეძლო დაეკმაყოფილებინა მხოლოდ კომპანია Ford-ს, რომელსაც საქართველოში ჰყავს ერთადერთი წარმომადგენელი - შპს „ჯი-თი გრუპი“. საჩივრის ავტორმა მოითხოვა შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებების გაუქმება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შპს Urban Motors-ს მიუთითა, რომ საჩივრის შინაარსი სრულყოფილად არ იყო ჩამოყალიბებული. კერძოდ, სააგენტომ საჭიროდ ჩათვალა გამოვლენილი დარღვევების კონკრეტული გარემოებებისა ან/და სატენდერო კომისიის არასათანადო ქმედების, ასევე სატენდერო კომისიის სადაო ოქმ(ებ)ის მინიშნება. შპს Urban Motors-მა საჩივარში დადგენილი ხარვეზი არ გამოასწორა. გამომდინარე აქედან, დავების განხილვის საბჭოს აპარატმა საჩივარი დაუშვებლად ცნო და არ განიხილა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი არ იძლევა კერძო სამართლის სუბიექტებთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებას. ამიტომ, აუდიტის ჯგუფმა ვერ დაადგინა შპს Urban Motors-ის მიერ საჩივრის დაუზუსტებლობის მიზეზი.

იმის, გამო, რომ სპეციალური ტექნიკის მახასიათებლების ყველა ტექნიკური დეტალის შეფასება მოითხოვს საექსპერტო განათლებას, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს საბოლოო

²⁰ №DIS150030357-01.

მოსაზრებას უქმნიდა თუ არა სატენდერო დოკუმენტაცია უპირატეს მდგომარეობას კონკრეტულ მიმწოდებელს. მიუხედავად ამისა, შესყიდვის სრული პროცესის წარმართვის და განხილული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია შპს „სინათლის ქალაქმა“ სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა კონკრეტულ მიმწოდებელზე გათვლით.

1.2 გარე განათების კონსტრუქციების გადაუდებელი სამღებრო სამუშაოები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ბიუჯეტის სახსრებით ნებისმიერ საქონელს, მომსახურებასა და სამშენებლო სამუშაოს შეისყიდის სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით. სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში²¹.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 18 მარტს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გამოსცა განკარგულება²², მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის ღონისძიებების პროგრამისათვის“ გათვალისწინებული ასიგნებებიდან, შპს „სინათლის ქალაქის“ კაპიტალში დამატებით 207.8 ათასი ლარის შეტანის შესახებ. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის 20 ქუჩაზე 2509 ერთეული გარე განათების კონსტრუქციის²³ გადაუდებელი სამღებრო სამუშაოებისათვის. კაპიტალის ზრდის საფუძველს წარმოადგენს შპს „სინათლის ქალაქის“ ადმინისტრაციის განაცხადი²⁴, სადაც აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 2509 ერთეული გარე განათების კონსტრუქცია საჭიროებს ხარისხიანი საღებავით გადაუდებელ სამღებრო სამუშაოების ჩატარებას, მათი ექსპლოატაციის ვადის გასახანგრძლივებლად. შპს „სინათლის ქალაქს“ დაფინანსება გამოეყო 2015 წლის 23 მარტს.

²¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“: მუხლი 3, პუნქტი 1; მუხლი 7, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი; მუხლი 10¹, პუნქტი 3, „ბ“ ქვეპუნქტი.

²² განკარგულება №11.33.294

²³ გარე განათების ლითონის ბოძები.

²⁴ განაცხადი №ფ-02/101. 17.02.2015.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს არ გამოუყენებია სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები და სამღებრო სამუშაოები საკუთარი ძალებით შეასრულა. ამასთან, ჩატარებულია ჩვეულებრივი სამღებრო სამუშაოები. დოკუმენტაცია არ შეიცავს დასაბუთებას, რატომ გახდა საჭირო ტიპიური სამუშაოს შესრულება შპს „სინათლის ქალაქის“ კაპიტალის ზრდის ფორმით. გარდა ამისა, არ დასტურდება, რომ საწარმო ასეთი სამუშაოების ექსკლუზიური მიმწოდებელია. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გამოყენებული მეთოდი კაპიტალის ზრდის საშუალებით მომსახურების მიწოდების შესახებ შეიცავს რისკებს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვის საგანი პირდაპირი წესით, შესყიდვის პროცედურების გარეშე იყიდოს მის მიერ დაფუძნებული სუბიექტებისაგან. აღნიშნული მიდგომა არ შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნებს, გამორიცხავს სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობას და ზღუდავს კონკურენციას.

გარდა ამისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სამართლებრივ აქტში არ არის მითითებული სამუშაოების გადაუდებლად განხორციელების საფუძველი. სამღებრო სამუშაო, სპეციფიკის გათვალისწინებით, შემსყიდველ ორგანიზაციას ფუნქციონირების საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ქ. თბილისის 2015 წელს მასპინძლობდა ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს, რის გამოც საჭირო გახდა ზოგიერთი ქუჩის მოწესრიგება. ინფორმაცია აღნიშნული ღონისძიების შესახებ მუნიციპალიტეტისათვის წინასწარ იყო ცნობილი და ჩატარებული სამუშაოები გადაუდებელ აუცილებლობად ვერ ჩაითვლება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2015 წელს ქ. თბილისის მერიას შპს „სინათლის ქალაქთან“ გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება²⁵ „მუნიციპალიტეტის გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვაზე“. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „სინათლის ქალაქს“, სხვა სამუშაოებთან ერთად ევალებოდა მთელი ქალაქის ტერიტორიაზე ლითონის საყრდენებისა და კრონშტეინების შეღებვა და დაზიანებული ბოძების (საყრდენების) აღდგენა-შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილისათვის შპს „სინათლის ქალაქს“ დამატებითი დაფინანსება გამოეყო, სახელშეკრულებო ღირებულება არ დაკორექტირებულა და ერთიდაიმავე სამუშაოს შესრულებისთვის საწარმომ დაფინანსება განმეორებით მიიღო.

ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა გარე განათების კონსტრუქციების სამღებრო სამუშაოები ფაქტობრივად შეასრულა შესყიდვების კანონმდებლობით

²⁵ ხელშეკრულება №2.5/10/521. 31.12.2014.

გათვალისწინებული პროცედურების გარეშე, უკონკურენტო გარემოში და მისი ღირებულება ფაქტობრივად ორჯერ გადაიხადა.

1.3 ქ. თბილისის ტელეანძის მხატვრული მინათების სისტემის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები, მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში²⁶.

გამოვლენილი გარემოება: შპს „სინათლის ქალაქი“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპლოატაციას უწევდა ტელეანძის მხატვრული მინათების სისტემას. საწარმოს განმარტებით, 2015 წლის 3 სექტემბერს ჩატარდა ბაზრის კვლევა ანძის მხატვრული მინათების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, რადგან მინათების საშუალებების უმრავლესობა მწყობრიდან იყო გამოსული და ცვლიდა ობიექტის იერსახეს. კვლევის შედეგები შპს „სინათლის ქალაქმა“ 29 სექტემბერს წერილობით წარუდგინა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების²⁷ შესაბამისად, შპს „სინათლის ქალაქს“ ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოეყო 2,000.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით²⁸, შპს „სინათლის ქალაქს“ მიეცა გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების უფლება. საწარმომ სანათი საშუალებების მიწოდებაზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „გრატო ლაითთან“, რადგან ბაზრის კვლევის საფუძველზე, საუკეთესოდ ჩაითვალა ამ პრეტენდენტის წინადადება. კვლევის დოკუმენტაციის შესაბამისად, სანათების ღირებულება შეადგენდა 635.0 ათას ევროს. ტელეანძის განათებას შპს „გრატო ლაითი“ უზრუნველყოფდა კონკრეტული დასახელების, მოდიფიკაციისა და რაოდენობის სანათი საშუალებებით. 2015 წლის 9 ოქტომბერს შპს „გრატო ლაითთან“ გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება, ღირებულებით 1,720.8 ათასი ლარი²⁹, რაც მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულებისას სრულად აუნაზღაურდა. შპს „სინათლის ქალაქის“ მიერ ქ. თბილისის ტელეანძის მხატვრული მინათების სისტემის შესყიდვის პროცესი შეიცავს რისკებს შემდეგი მიმართულებებით:

)/ შპს „სინათლის ქალაქმა“ სანათი საშუალებების მიწოდებაზე 1,720.8 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა ახლადშექმნილ საწარმოსთან. კერძოდ, შპს „გრატო ლაითი“ დაფუძნდა 2015 წლის 4 მაისს, ბაზრის კვლევის ჩატარებამდე 4 თვით

²⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“: მუხლი 7, პუნქტი 2(ა).

²⁷ №40.02.1146. 05.10.2015.

²⁸ №2173, 07.10.2015.

²⁹ CMR150182885. ხელშეკრულების ღირებულება 635.0 ათასი ევროს ექვივალენტია გაფორმების დღის კურსით.

ადრე. შესყიდვების ელექტრონული პორტალის მონაცემების შესწავლით დადგინდა, რომ არც ხელშეკრულების დადების დროს და არც აუდიტის მიმდინარეობისას, ამ საწარმოს სხვა ხელშეკრულება გაფორმებული არ ჰქონდა³⁰.

ხელშეკრულებით განსაზღვრული სანათი საშუალებების ჩამონათვალი განსხვავდება ბაზრის კვლევის პროცესში შპს „გრატო ლაითის“ მიერ შემოთავაზებულისაგან. კერძოდ, შეცვლილი და შემცირებულია ძირითადი სანათების მოდიფიკაცია და რაოდენობა, დამატებულია სხვა დასახელების სანათები ისე, რომ საერთო ღირებულება არ შეცვლილა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა ფასების შედარების საშუალებას.

ცხრილი 2. შპს „გრატო ლაითის“ მიერ შპს „სინათლის ქალაქისათვის“ კვლევის პროცესში შეთავაზებული და ფაქტობრივად მიწოდებული სანათები

შეთავაზებული სანათები კვლევის პროცესში	რაოდენობა	მიწოდებული სანათები	რაოდენობა
POWERSHINE MK2 D RGBW (ორმაგი სანათი)	114	POWERSHINE MK2 S RGBW SPOT	14
ONYX RGBW AL4052		POWERSHINE MK2 S RGBW NARROW	13
		POWERSHINE MK2 S RGBW MEDIUM	8
		POWERSHINE MK2 S RGBW ELLIPTICAL	14
		ONYX ULTRASPOT RGBW	23
		JADE 16 EXTRA WIDE RGBW	48
		PARADE S RGBW 20 ELLIPTICAL WIDE	40
ჯამი	114		160

შპს „სინათლის ქალაქმა“ 1,720.8 ათასი ლარის ღირებულების საქონლის მისაწოდებლად შეარჩია ახლადშექმნილი საწარმო და მიწოდების ღირებულება განსაზღვრა ურთიერთშეთანხმებით. მიმწოდებელმა არსებითად შეცვალა საქონლის მოდიფიკაცია და რაოდენობა ისე, რომ ხელშეკრულების ღირებულება არ დაკორექტირებულა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აუდიტის ჯგუფმა ჩათვალა, რომ არსებობდა მიმწოდებლის მიერ ზენორმატიული მოგების მიღების რისკი. შესაბამისად, დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარების მიზნით, ჯგუფმა შპს „თბილსერვის ჯგუფს“ (შპს „სინათლის ქალაქის“ სამართალმემკვიდრე) მოსთხოვა შპს „გრატო ლაითის“ მიერ სანათების შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აუდიტის ობიექტმა მოთხოვნილი მასალები ვერ წარმოადგინა. მიმწოდებლის განმარტებით, დოკუმენტაცია ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამდენად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს შპს „გრატო ლაითის“ მიერ ზენორმატიული მოგების მიღების შესახებ.

³⁰ 2018 წლის მარტის ჩათვლით.

1.4 შპს „სინათლის ქალაქში“ დასაქმებულთა პრემირება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის განკარგულების³¹ საფუძველზე, 2015 წლის ბიუჯეტის „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში მოძიებული ფინანსური რესურსით განხორციელდა შპს „სინათლის ქალაქის“ კაპიტალის გაზრდა 396.6 ათასი ლარით. განკარგულების მიხედვით, შპს-ს ფინანსური რესურსი გადაეცა დასაქმებულთა პრემირებისთვის, ერთი თვის ხელფასის ოდენობით. შპს „სინათლის ქალაქმა“ მიღებული დაფინანსება შეავსო საკუთარი რესურსით და პრემია გასცა 493 დასაქმებულ პირზე, 443.3 ათასი ლარის ოდენობით.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა საწარმოს მიერ გაცემული შრომის ანაზღაურება 2015 წლის დეკემბრის თვეში. წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ შპს „სინათლის ქალაქში“ 2015 წლის დეკემბრის სხვადასხვა პერიოდში 308 თანამშრომელზე, შიდა ფინანსების გამოყენებით, დამატებით გაცემულია 214.7 ათასი ლარის პრემია. შედეგად, 493 დასაქმებულიდან, 308 პირმა დეკემბრის თვეში პრემია მიიღო ორჯერ, დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დასაბუთება, რით იყო განპირობებული დეკემბრის თვეში პრემიის ორჯერ გაცემის საჭიროება და ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფა.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

2.1 საქონელი და მომსახურება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურება 2015-2016 წლებში შეისყიდა შპს „სინათლის ქალაქთან“ გაფორმებული ხელშეკრულებებით³². შესყიდვა ითვალისწინებს ქ. თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. 2015 წელს ხელშეკრულების შესრულების საკასო ხარჯმა 15,726.7 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს - 17,600.0 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადახდილი 33,326.7 ათასი ლარიდან, ელექტროენერგიის საფასური 17,141.6 ათასი ლარია (51.4%).

³¹ №51.21.1463

³² №02.05/10/521; №02.05/10/1013.

გამოვლენილი გარემოებები

შესყიდვის საშუალების შერჩევა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურება 2015-2016 წლებში შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ხელშეკრულებების შესაბამისად, შესყიდვის ფორმა შერჩეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის საფუძველზე. კერძოდ, შემსყიდველმა მიიჩნია, რომ მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენდა და არ არსებობდა მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

შპს „სინათლის ქალაქი“ ექსკლუზიურ უფლებას ამ შემთხვევაში განაპირობებდა საკუთარ ოფისში დამონტაჟებული გარე განათების დისტანციური ცენტრალიზებული მართვის სისტემა. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა აღნიშნული მოწყობილობა თავად გადასცა მის მიერ დაფუძნებულ საწარმოს, რომლის სამართალმემკვიდრეც შემდეგ შპს „სინათლის ქალაქი“ გახდა.

ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა თავად შექმნა შპს „სინათლის ქალაქი“ ექსკლუზიური სტატუსი და შემდეგ შესყიდვის საშუალების შესარჩევად გამოიყენა. შედეგად, მართვის სისტემის კომპონენტის გადაცემამ ხელი შეუწყო უკონკურენტო გარემოს ჩამოყალიბებას, გრძელვადიან პერსპექტივაში.

ხელშეკრულების ღირებულების განსაზღვრა: ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვებისა) შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით³³. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებისას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, არაკონკურენტულ გარემოში და შეიცავს საბიუჯეტო თანხების არაეკონომიური ხარჯვის რისკებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს ბაზრის კვლევა გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისათვის არ ჩაუტარებია. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, შესყიდვის ფასი დადგენილია წინა წლებში ჩატარებული ელექტრონული შესყიდვების შედეგების ანალოგიით. აღსანიშნავია, რომ 2012-2014 წლებში ჩატარებული

³³ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება: მუხლი 4, პუნქტი 6.

ტენდერები³⁴ ატარებდა ფორმალურ ხასიათს. სატენდერო პირობის შესრულება შეეძლო მხოლოდ შპს „სინათლის ქალაქს“, რომელიც სამივე ტენდერისათვის წარმოადგენდა ერთადერთ უალტერნატივო მონაწილეს და საწარმომ გაიმარჯვა ტენდერების სავარაუდო ღირებულებების ტოლი შეთავაზებების წარდგენით. ამდენად, შესყიდვის ღირებულებას განსაზღვრავდა შპს „სინათლის ქალაქი“, როგორც ექსკლუზიური მიმწოდებელი.

2015-2016 წლებში გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურების მიწოდების საორიენტაციო ღირებულების განსაზღვრისათვის ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა. ამასთანავე, ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მომსახურების ერთეულ ფასებს არ გაუვლია ელექტრონული ვაჭრობის ეტაპი და მისი რეალური საბაზრო ღირებულება არ დადგენილა.

ხელშეკრულებების შესრულება. შპს „სინათლის ქალაქთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, მიმწოდებელი ყოველდღიურ ექსპლოატაციას უწევდა 100 ათასზე მეტ გარე განათებისა და 20 ათასზე მეტ მხატვრული მინათების სანათ წერტილს. მიმწოდებლის ვალდებულებების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებდა შემსყიდველი, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მეშვეობით.

სამსახურის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის ხელშეკრულების შესრულება წარმოადგენდა შპს „სინათლის ქალაქის“ პროფილური საქმიანობის ძირითად მიმართულებას. შესრულებული სამუშაოების აქტებში ასახული მონაცემების გადამოწმება კეთილმოწყობის სამსახურს არ ევალებოდა და ასევე წარმოადგენდა შპს „სინათლის ქალაქის“ პასუხისმგებლობას.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს არ გააჩნდა საკმარისი ადამიანური და ტექნიკური რესურსი ხელშეკრულებების პირობების გასაკონტროლებლად და 100 ათას ერთეულზე მეტი სანათი წერტილის შესახებ საკმარისი მონაცემების მოსაპოვებლად. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ შპს „სინათლის ქალაქის“ ძირითად საქმიანობას განათების სისტემების ექსპლოატაცია წარმოადგენდა და როგორც მუნიციპალური საწარმო, მერიის მიერ ამ მიზნით შეიქმნა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად³⁵, თბილისის მთავრობა მის საქმიანობას აკონტროლებდა ზოგადი წესით.

³⁴ SPA110029849, SPA120025953, SPA140000080.

³⁵ მუხლი 75.

ამდენად, 2015-2016 წლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტის მერია არ ახორციელებდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ კონტროლს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. აღნიშნული მიდგომა განსხვავდება მუნიციპალიტეტის ტიპიური დამოკიდებულებისაგან სხვა ხელშეკრულებების შესრულების მიმართ.

მომსახურების მიწოდების ფორმის შერჩევა. აუდიტის ჯგუფმა, შესაძლებლობის ფარგლებში, შეისწავლა ქვეყნის და სხვა სახელმწიფოების გამოცდილება გარე განათების ექსპლოატაციის ორგანიზების მხრივ. გაანალიზდა, ასევე, დარგის სპეციალისტების მოსაზრებები, სხვადასხვა პუბლიკაცია და კვლევა გარე განათების სფეროს პერსპექტიული განვითარების შესახებ. თანამედროვე ტენდენციით, მიმდინარეობს გარე განათების მომსახურების მუნიციპალური ცენტრალიზაცია და მართვის ერთიანი სისტემების დანერგვა. ამ პროცესში მუნიციპალური წარმონაქმნები გარე განათების ექსპლოატაციისათვის იყენებენ სხვადასხვა მიდგომას:

- ┌ შეისყიდიან გარე განათების მომსახურებას;
- ┌ ახდენენ პროფილური მუნიციპალური სუბიექტების სუბსიდირებას, რეალური დანახარჯების შესაბამისად;
- ┌ გარე განათების სისტემას გადასცემენ მართვის უფლებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვისას ერთდროულად იყენებს ორ მიდგომას, კერძოდ: მომსახურებას შეისყიდის გამარტივებული ფორმით; შემსრულებელ მხარედ არჩევს მის მიერ დაფუძნებულ პროფილურ საწარმოს, რომელიც ექსკლუზიური მიმწოდებელია; აკონტროლებს საკუთარი საწარმოს საქმიანობას ზოგადად და არა ხელშეკრულების შესრულების პროცესს; არ ამოწმებს შესრულებული სამუშაოების აქტებს და მიმწოდებელს აფინანსებს მოთხოვნის შესაბამისად.

ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ შპს „სინათლის ქალაქთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები ფორმალური ხასიათისაა. მომსახურების მიწოდების პროცესი ფორმით სახელმწიფო შესყიდვის მსგავსია, თუმცა შინაარსობრივად სუბსიდიურ ხასიათს ატარებს. სახელშეკრულებო ურთიერთობის შერეული ფორმა ქმნის მოუწესრიგებელ სიტუაციას და გაურკვევლობას იწვევს მიწოდების რეალური ღირებულების განსაზღვრის, მომსახურების მიწოდების ვადების დაცვის, შესრულების კონტროლისა და საჯარიმო სანქციების გავრცელების მხრივ.

რეკომენდაცია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს და შეაფასოს გარე განათების სისტემების ექსპლოატაციის დაფინანსების სხვადასხვა ფორმა (მომსახურების შესყიდვა, სუბსიდირება, მართვაში გადაცემა და სხვ.) და განსაზღვროს ოპტიმალური მიდგომა მომსახურების მისაღებად. მიზანშეწონილია შერჩეული ფორმა დაფუძნებული იყოს საუკეთესო პრაქტიკაზე და საკანონმდებლო მოთხოვნებთან ერთად, მაქსიმალურად ითვალისწინებდეს ქ. თბილისის სპეციფიკას. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის მონაწილე მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და პროცესის გამჭვირვალობას.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა ჩაატარა შპს „სინათლის ქალაქის“ საქმიანობის ინსპექტირება 2014 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 აპრილამდე პერიოდისათვის. დასკვნა ქ. თბილისის მერს წარედგინა 2017 წლის 8 სექტემბერს³⁶. სამსახურის დასკვნის შესაბამისად, შპს „სინათლის ქალაქის“ საქმიანობაში გამოვლენილია სხვადასხვა დარღვევა-ნაკლოვანება, მათ შორის სპეციალიზირებული ტექნიკისა და გარე განათების კონსტრუქციების გადაუდებელი სამღებრო სამუშაოების შესყიდვის მხრივ.

2017 წლის 11 სექტემბერს სამსახურმა შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს³⁷. აუდიტის ჯგუფი არ ფლობს ინფორმაციას შესაბამისი სტრუქტურების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული გარე განათების პროგრამის აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

2013 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ თბილისის მერიის მიერ გარე განათების პროგრამის ფარგლებში 2006-2010 წლებში გამოყენებული სახსრების შესაბამისობის აუდიტი, რომლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას, მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია

³⁶ წერილი №13-01172513443.

³⁷ წერილი №13-01172542387.

დარღვევა-ნაკლოვანების გამოსასწორებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ. ინფორმაციის შესაბამისად, შეიცვალა გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და ქსელის განვითარების ერთი ტენდერის ფარგლებში შესყიდვის პრაქტიკა; ექსპლოატაციისა და ქსელის განვითარების ნაწილში მერია აღარ შეისყიდის სანათ საშუალებებს; აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვისას, წინასწარ განისაზღვრება სავარაუდო ღირებულებები; სატენდერო ხარჯთაღრიცხვებში გახარჯული ელ.ენერგიის საფასურს გეგმური მოგება და ზედნადები ხარჯები აღარ ერიცხება.

მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა ან არ გამოსწორებულა წინა აუდიტის ანგარიშში ასახული შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის შესყიდვისას, მუნიციპალიტეტის მერია არ ამოწმებდა ხარჯების რეალობას;
- მუნიციპალიტეტის მერიას არ განუხორციელებია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები 2009 წელს, შპს „ევროპლანტ ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების (უხარისხო პროდუქცია) გამოსასწორებლად;
- მუნიციპალიტეტის მერიას კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები არ გაუტარებია შპს „ევროპლანტ ჯორჯიასგან“ შესყიდული სანათების დანაკლისის აღმოსაფხვრელად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი


ზურაბ ჩაფიჩაძე
(წამყვანი აუდიტორი)

თეა არველაძე
(უფროსი აუდიტორი)

თეა უდესიანი
(აუდიტორი)

ირაკლი გოგოლიძე
(აუდიტორი)

ხელმოწერა



შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

